



**SBA**

საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

თბილისი

2023

დოკუმენტის დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების ფურცელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“

დამტკიცების საფუძველი	დამტკიცების თვე, რიცხვი და ნომერი	ცვლილების საფუძველი	ცვლილების დამტკიცების თვე, რიცხვი ნომერი	გაუქმების საფუძველი	გაუქმების თვე, რიცხვი და ნომერი	შეცვლილი დანართი თავი/მუხლი/პუნქტი/ქვეპუნქტი	დამტკიცების/ცვლილების/გაუქმების განმახორციელებელი პირ(ებ)ი, სახელი გვარი
2023 წლის 14 თებერვლის N00000028 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის თეა მისურამის 2023 წლის 03 მარტის N°00002008 სამსახურებრივი ბარათი	03.03.2023 N°00000034 ბრძანება	-	-	-	-	-	ია ერაძე დირექტორი

-	-	2023 წლის 29 დეკემბერს №00000399 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის თეა მაისურაძის 2024 წლის 08 თებერვლის №00001335 სამსახურეობრივი ბარათი	09.02.2024 №00000019 ბრძანება	-	-	ცვლილებები განხორციელდა: მთლიან პაკეტში	ია ერაძე დირექტორი
-	-	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2024 წლის 16 მაისის №00004663 სამსახურეობრივი ბარათი	18.05.2024 №00000123 ბრძანება	-	-	ცვლილებები განხორციელდა: დანართი N27 და N29	ია ერაძე დირექტორი
-	-	სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის თეა მაისურაძის 2024 წლის 25 ივნისის №00006321 სამსახურეობრივი ბარათი	25.06.2024 №00000202 ბრძანება	-	-	ცვლილებები განხორციელდა: დანართი N29	ია ერაძე დირექტორი

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

1. პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები/ Occupational Safety and Environmental Technology
2. დამტკიცების/ცვლილების თარიღი: 11.08.2017/01.08.2018/15.09.2021
3. იმ ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება და სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ინჟინერია, წარმოება, მშენებლობა 07311-3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (შემდგომში - ჩარჩო დოკუმენტი) სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები / Occupational Safety and Environmental Technology
4. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

უმადლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში/ Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - “გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” - კოდი 0712, აღმწერი - „შეისწავლის გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებებისა და ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების, ასევე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების პროცესებს. იგი მოიცავს ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ა.შ. კონტროლთან დაკავშირებულ პროგრამებს”

### 5. მიზანი:

პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს შეიმუშაოს ნეგატიური ასპექტებისაგან დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმი შექმნას პირობები ჯანსაღი და ღირსეული საქმიანობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს შრომის დაცვითი ღონისძიებების დანერგვა და მართვა.

### 6. დაშვების წინაპირობა:

- ❖ სრული ზოგადი განათლება

### 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ნათელა დოლიძე

### 8. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერი/სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს სხვადასხვა სფეროების: მშენებლობის, ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების, ნავთობისა და გაზის, ლოჯისტიკის, ტრანსპორტის, მძიმე მრეწველობის, სამთო მრეწველობის, საზღვაო პორტების, კომუნიკაციების, ტურიზმის, სარესტორნო, გასართობ, სავაჭრო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში: უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; ჯანმრთელობის დაცვის ინსპექტორად/მენეჯერად; შრომის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ინსპექტორად/მენეჯერად; დაბინძურების ინსპექტორად; ჯანსაღი სამუშაო გარემოს დაცვის ოფიცერად; შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მრჩეველად; გარემოს დაცვის მრჩეველად; შრომის ჰიგიენის სპეციალისტად/მენეჯერად; ნარჩენების შეგროვების სპეციალისტად; ნარჩენების დამუშავება-მოცილების სპეციალისტად; დაბინძურებისაგან გასუფთავება-ნარჩენების მართვის ინსპექტორად; უსაფრთხოების დაცვის სპეციალისტად/მენეჯერად; შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სახელმწიფოს შრომის ინსპექტირების სამსახურებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად; სხვადასხვა

კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მენეჯერად ან სპეციალისტად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 38.; 38.1; 38.2; 39.; 39.0; 80; 86; 81;
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3257.

### 9. სტრუქტურა და მოდულები:

- პროფესიულმა სტუდენტმა უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო 3 მოდული ჯამური 11 კრედიტის ოდენობით. პროფესიული სავალდებულო 21 მოდული ჯამური 109 კრედიტის ოდენობით. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებში“ პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.
- პროგრამის ხანგრძლივობა - 23 თვე

მოდულის, ქართული ენა A2 და B1 (30 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის ბრძანება №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების 28-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 23 თვე
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 150 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 28 თვე

### მოდულების ჩამონათვალი სასწავლო გეგმის შემთხვევაში

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი

1	ინფორმაციული წიგნიერება 2 - <b>0610004</b>	3
2	უცხოური ენა (ინგლისური ენა) - <b>0230102</b>	5
3	მეწარმეობა 3 - <b>0410005</b>	3
	სულ	11
<b>№</b>	<b>პროფესიული მოდულები</b>	<b>კრედიტი</b>
1	გაცნობითი პრაქტიკა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები - <b>0731106</b>	2
2	ფსიქოლოგიის საფუძვლები - <b>0731117</b>	4
3	ანატომიის საფუძვლები - <b>0731101</b>	4
4	გარემოს დაცვის საფუძვლები - <b>0731104</b>	4
5	მენეჯმენტის საფუძვლები - <b>0731109</b>	3
6	დარგობრივი უცხოური ენა (ინგლისური ენა) - <b>0731107</b>	3
7	ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები - <b>0731120</b>	8
8	საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე - <b>0731112</b>	4
9	ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი - <b>0731121</b>	6
10	გარემოს დაცვის მენეჯმენტი - <b>0731103</b>	4
11	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი - <b>0731113</b>	4
12	ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი - <b>0731118</b>	4
13	ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება - <b>0731108</b>	5
14	გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები - <b>0731102</b>	7
15	ნარჩენების მართვა - <b>0731110</b>	7
16	წყლისა და ჰაერის დაბინძურება - <b>0731119</b>	7
17	ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი - <b>0731115</b>	3
18	გარემოსდაცვით საგანგებო სიატუაციებზე რეაგირების დაგეგმვა - <b>0731105</b>	4
19	ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი - <b>0731116</b>	4
20	სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი - <b>0731111</b>	2
21	საწარმოო პრაქტიკა - <b>0731114</b>	20
	სულ:	109
	კრედიტების რ-ბა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:	120
	კრედიტების რ-ბა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის სულ:	150
<b>№</b>	<b>ქართული ენის მოდულები</b>	<b>კრედიტი</b>

1	ქართული ენა A2 - 0110001	15
2	ქართული ენა B1 - 0110002	15
<b>სულ:</b>		<b>30</b>

**10. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:**  
კურსდამთავრებულს შეუძლია:

*სწავლის შედეგები შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით*

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა;
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები;
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი;
4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები;
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები;
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება;
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები;
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება;
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა;
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი;
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება;
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება;
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

**11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება:**

- საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“
- „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე

**12. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება**



კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს, როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა ), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**13. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და გაიაროს შუალედური შეფასება და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

**14. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-13 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**15. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები**

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საფუძველზე.

**16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:**

- შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“, მისამართი: თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
- შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა“  
იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, თ.ერისთავის ქ. N2 გ.
- სს „გუდვილი“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. N1

- შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, წინანდლის ქ. N9

- შპს „პოლიმერი 1“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ფონიჭალა, ვაგზლის ქ. N15ა,

- შპს „გრანდი“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, კოტე მახარაძის, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ჯაბიძის ქ. N8

- შპს „ვესტა“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ვანის ქუჩა 4

- შპს „ნი ესტეტიკ ჯორჯია“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 70 „ა“

- სსიპ კოლეჯი „მერმისი“

იურ./ფაქტ მისამართი: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის ჩიხი 9/ა

## 17. დანართები:

დანართი №1 - ინფორმაციული წიგნიერება 2 - **0610004**

დანართი №2 - უცხოური ენა /ინგლისური ენა/ - **0230102**

დანართი №3 - მეწარმეობა 3 - **0410005**

დანართი №4 - გაცნობითი პრაქტიკა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები - **0731106**

დანართი №5 - ფსიქოლოგიის საფუძვლები - **0731117**

დანართი №6 - ანატომიის საფუძვლები - **0731101**

დანართი №7 - გარემოს დაცვის საფუძვლები - **0731104**

დანართი №8 - მენეჯმენტის საფუძვლები - **0731109**

დანართი №9 - დარგობრივი უცხოური ენა (ინგლისური ენა) - **0731107**

დანართი №10 - ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები - **0731120**

დანართი №11 - საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე - **0731112**

- დანართი №12 - ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი - **0731121**
- დანართი №13 - გარემოს დაცვის მენეჯმენტი - **0731103**
- დანართი №14 - საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი - **0731113**
- დანართი №15 - ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი - **0731118**
- დანართი №16 - ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება - **0731108**
- დანართი №17 - გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები - **0731102**
- დანართი №18 - ნარჩენების მართვა - **0731110**
- დანართი №19 - წყლისა და ჰაერის დაბინძურება - **0731119**
- დანართი №20 - ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი - **0731115**
- დანართი №21 - გარემოსდაცვით საგანგებო სიატუაციებზე რეაგირების დაგეგმვა - **0731105**
- დანართი №22 - ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი - **0731116**
- დანართი №23 - სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი - **0731111**
- დანართი №24 - საწარმოო პრაქტიკა - **0731114**
- დანართი №25 - ქართული ენა A2 - **0110001**
- დანართი №26 - ქართული ენა B1 - **0110002**
- დანართი №27 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
- დანართი №28 - მატერიალური რესურსი
- დანართი №29 - ინფორმაცია „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ